



## სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება #.....

..... წელი

ერთის მხრივ შპს „კავკასიის ციფრული ქსელი“ [შემდგომში -  
“ოპერატორი”], ხოლო მეორეს მხრივ .....

დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ოპერატორი აწვდის, ხოლო აბონენტი ღებულობს სატელეკომუნიკაციო მომსახურებას [შემდგომში - “მომსახურება”] ამ ხელშეკრულების და მისი დანართების მიხედვით;
2. თითოეული კონკრეტული მომსახურება [შემდგომში - “მომსახურების სახე”] განისაზღვრება შესაბამისი დანართით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. **ოპერატორი ვალდებულია:**
  - 3.1 მიაწოდოს აბონენტს მომსახურება ამ ხელშეკრულების, საკუთარი ლიცენზიების, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მიერ დადგენილი ნორმების დაცვით;
  - 3.2 აწარმოოს ანგარიშსწორება აბონენტთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
  - 3.3 უზრუნველყოს აბონენტი უფასო სადღეღამისო მხარდაჭერით.
4. **აბონენტი ვალდებულია:**
  - 4.1 აწარმოოს ანგარიშსწორება ოპერატორთან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
  - 4.2 საკუთარი ტექნიკური და პროგრამული საშუალებების გაუმართაობით ხელი არ შეუშალოს ოპერატორს მომსახურების მიწოდებაში.
5. **მომსახურების მიწოდების წერტილი**
  - 5.1 ოპერატორი უზრუნველყოფს მომსახურების მიყვანას მომსახურების მიწოდების წერტილამდე, რომელიც განისაზღვრება შესაბამის დანართში;
  - 5.2 ოპერატორი პასუხს არ აგებს აბონენტის ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებებზე [სატელეფონო სისტემა, კომპიუტერები, კომპიუტერების ქსელი, ელექტროკვების სისტემა, ოპერაციული სისტემები და სხვ.] რომლებიც განლაგებულია მომსახურების მიწოდების წერტილის შემდეგ, თუ ამ საკითხზე გაფორმებული არ არის შესაბამისი დანართი.
6. **მომსახურების მოცულობა და ტარიფები**
  - 6.1 მომსახურების მოცულობა და ტარიფები განისაზღვრება შესაბამის დანართებში;
  - 6.2 მომსახურების პარამეტრების შეცვლისას ფორმდება ახალი დანართი, რომელიც ამავდროულად აუქმებს შესაბამის ძველ დანართს;
  - 6.3 მომსახურების ტარიფების გაზრდის შესახებ ოპერატორი აცნობებს აბონენტს არანაკლებ ორი კვირით ადრე.
7. **ანგარიშსწორება**
  - 7.1 ანგარიშსწორება აბონენტსა და ოპერატორს შორის წარმოებს ყოველთვიურად;
  - 7.2 ოპერატორი ვალდებულია ყოველი თვის 10 რიცხვამდე წარუდგინოს აბონენტს ანგარიში წინა თვეში გაწეულ მომსახურებაზე ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე;
  - 7.3 აბონენტი ვალდებულია მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე დაფაროს გასული თვის მომსახურების საფასური, ოპერატორის მიერ წარდგენილი ანგარიშის მიხედვით;
  - 7.4 მომსახურების ზოგიერთი სახის მისაღებად აბონენტი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს საგარანტიო დეპოზიტი შესაბამისი დანართის მიხედვით;
  - 7.5 ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები და გადახდის პუნქტები მითითებული იქნება ოპერატორის მიერ წარდგენილ ანგარიშში;

- 7.6 თუ აბონენტმა სრულად არ დაფარა დავალიანება მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე, ოპერატორს უფლება აქვს შეაჩეროს მომსახურების ყველა სახის მიწოდება;
- 7.7 შეჩერებული მომსახურების აღდგენა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც აბონენტი სრულად დაფარავს დავალიანებას ოპერატორის მიმართ;
- 7.8 მომსახურების სახის სრული ან ნაწილობრივი შეჩერება და აღდგენა შეიძლება მოხდეს აბონენტის თხოვნით, შესაბამისი დანართის პირობების თანახმად;
- 7.9 თუ ოპერატორი არ ახდენს მომსახურების შეჩერებას აბონენტის დავალიანების გამო, ეს განხილული უნდა იქნას, როგორც ოპერატორის კეთილი ნება და არ ნიშნავს იმას, რომ ოპერატორი მომავალში უარს ამბობს მომსახურების შეჩერების უფლებებზე.
8. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
  - 8.1 ხელშეკრულება მოქმედებს დღიდან გაფორმებისა განუსაზღვრელი ვადით;
  - 8.2 აბონენტს შეუძლია გაწყვიტოს ხელშეკრულება თუ იგი 30 კალენდარული დღით ადრე შეატყობინებს ოპერატორს ამის შესახებ და სრულად დაფარავს ოპერატორის წინაშე არსებულ დავალიანებას ხელშეკრულების გაწყვეტის სასურველ თარიღამდე;
  - 8.3 ოპერატორს შეუძლია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება თუ აბონენტი თავს არიდებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას.
9. **ფორს მაჟორი**  
მხარეები არ აგებენ პასუხს რაიმე ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ კი აღნიშნული გამოწვეულია წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით ან სხვა ბუნებრივი უბედურებით; ამასთან ერთად ომით, სამხედრო მოქმედებით, კანონის შეცვლით, რომელსაც ექნება ადგილი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, აგრეთვე სხვა ნებისმიერი გარემოების შემთხვევაში, რომლებიც ვერ კონტროლდება მხარეების მიერ.

10. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**  
**ოპერატორი:** შპს „კავკასიის ციფრული ქსელი“  
**მისამართი:** თბილისი, 0119, ა. წერეთლის გამზ. #10, ბ. 45  
**ტელეფონი:** 2550055  
**ს/კოდი:** 202943182  
**ელ ფოსტა:** [cdn@cdn.ge](mailto:cdn@cdn.ge)

**დირექტორი :**  
დავით თუთბერიძე

**აბონენტი:** .....  
**მისამართი:** .....  
**ტელეფონი:** .....  
**ს/კოდი:** .....  
**ელ ფოსტა:** .....

**დირექტორი :**  
.....